მწვანე ალტერნატივა
0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
greenalt@greenalt.org

4 იანვარი, 2021
04/02-288

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ასლი:
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო ნინო,

2020 წლის 29 დეკემბერს მივიღეთ თქვენი №12631/01 წერილი, რომლითაც ჩვენი 2020 წლის **17 ოქტომბერს** წარმოდგენილის **საჩივრის** პასუხად გადმოგვეცემოდა - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 18 ნოემბრის 18-0120323980 წერილით წარმოდგენილ ინფორმაციას ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე, ცენტრალური პარკის მოწყობის შესახებ და სამსახურის მოსაზრებას დაგეგმილი საქმიანობის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" გათვალისწინებული პროცედურების საჭიროებასთან დაკავშირებით.

ამავე წერილში წარმოდგენილია თქვენი არაერთმნიშვნელოვანი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი" საქართველოს კანონი შემუშავებულია ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების საფუძველზე და სკრინინგსა და გზშ-ის პროცედურას დაქვემდებარებული საქმიანობების ნუსხა ჩამოყალიბდა აღნიშნულის გათვალისწინებით.

გარდა იმისა, რომ გაუგებარია, და არც თქვენს წერილშია მითითებული, რა მიზნით გვეგზავნება მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია, უნდა აღინიშნოს რომ წერილში წარმოდგენილი პოზიცია სრულიად არაკომპეტენტურია და გაურკვეველია რა ნორმას ეფუძნება. გაუგებარია რა ტიპის საქმიანობაა წერილში მოყვანილი - „თემატური პარკები", რომელიც, თურმე, დირექტივისა და კოდექსის თანახმად ექვემდებარება სკრინინგს.

აქვე, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობების ჩამონათვალშია:

9. ინფრასტრუქტურული პროექტები: 9.2. 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი (მათ შორის, სავაჭრო ცენტრისა და 1 000 ავტომობილის ტევადობის ავტოპარკის მოწყობა); და

11. ტურიზმი და დასვენება: 11.4. 10 ჰექტარზე ან მეტ ფართობზე გასართობი პარკის (მათ შორის, ატრაქციონების პარკის) გაშენება.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, გთხოვთ, უზრუნველყოთ ჩვენს თითქმის სამი თვის წინ წარმოდგენილ საჩივარზე შესაბამისი რეაგირება და მიიღოთ კანონით გათვალისწინებული ზომები კანონდარღვევის აღკვეთისათვის.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი